

## სწავლის საფასურის გადახდის წესი

- 2023-2024 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტების მიერ გრაფიკით განსაზღვრული პირველი წლის სწავლის საფასურის გადახდა უნდა განხორცილდეს 15 სექტემბრის ჩათვლით.
- მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც გადაიხდიან გადახდის გრაფიკის მიხედვით განსაზღვრულ სწავლის საფასურს, შეძლებენ აკადემიური რეგისტრაციის გავლას (18-22 სექტემბერის ვადაში) და სასწავლო პროცესში ჩართვას 25 სექტემბრიდან.
- სტუდენტი, რომელსაც მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო, სოციალური ან სხვა ტიპის გრანტი/დაფინანსება, დაფარავს სწავლის საფასურის დადგენილ ოდენობასა და მოპოვებულ გრანტს/დაფინანსებას შორის სხვაობას.

იმ სტუდენტებმა, რომლებიც ელოდებიან სწავლის საფასურის დაფინანსებას სახელმწიფო ან კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან და უნივერსიტეტში წარმოადგენენ დაფინანსების მომლოდინეობის დამადასტურებელ დოკუმენტს (განცხადების ასლი, ნომერი/შტრიხკოდი), უნდა გადაიხადონ წლიური სწავლის საფასურის 10%. ნაწილობრივი დაფინანსების მიღების შემთხვევაში, სტუდენტის მიერ გადახდილი თანხა გამოაკლდება მომავალი სემესტრების სწავლის საფასურს. სრული დაფინანსების მიღების შემთხვევაში კი გადახდილი თანხა დაუბრუნდება სტუდენტს.

აქვე, გაცნობებთ, რომ სტუდენტებმა, რომლებიც ელოდებიან სწავლის საფასურის დაფინანსებას სახელმწიფო ან კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან, მიმართვა შესაბამის დამფინანსებელთან თავად უნდა უზრუნველყონ.

არასრულწლოვანი სტუდენტები ხელშეკრულებას ავსებენ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას გადიან, უნივერსიტეტში (11-15 სექტემბერი) მშობელთან ან მეურვესთან ერთად. სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკის არჩევაც ადგილზე მოხდება.

- ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების შესახებ შეგიძლიათ მიმართოთ ალტე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

## სწავლის საფასურის გადახდის გზები

ალტე უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა სწავლის საფასურის აღრიცხვის ელექტრონული (ბილინგის) სისტემა, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სწავლის საფასური საბანკო დაწესებულებების, ონლაინპორტალებისა და სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით გადაიხადონ.

## პარტნიორი ბანკები

უნივერსიტეტს საბილინგო კავშირი აქვს შემდეგ ძირითად ბანკებთან:

- თიბისი ბანკი
- საქართველოს ბანკი

## სწავლის საფასურის გადახდის სხვა გზები

სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია ასევე საბილინგო სისტემაში ჩართული:

- საქართველოს ბანკის და TBC ბანკის გადახდის აპარატებიდან. გადახდისას აირჩიეთ - განათლება / ალტე უნივერსიტეტი / სწავლის საფასური / შეიყვანეთ სტუდენტის პირადი ნომერი / თანხის ფიქსირება / გადახდა.
- TBC ბანკის ინტერნეტ ბანკინგით გადახდისას - კომუნალური / განათლება / ალტე უნივერსიტეტი / შეიყვანეთ სტუდენტის პირადი ნომერი / თანხის ფიქსირება / გადახდა.
- საქართველოს ბანკის ინტერნეტ ბანკინგით გადახდისას - გადახდები / სხვა გადახდები / განათლება / ალტე უნივერსიტეტი / შეიყვანეთ სტუდენტის პირადი ნომერი / თანხის ფიქსირება / გადახდა.
- ონლაინპორტალზე <https://mypay.ge/> - სასწავლებლები / ალტე უნივერსიტეტი / შეიყვანეთ სტუდენტის პირადი ნომერი / თანხის ფიქსირება / გადახდა.
- პარტნიორი ბანკების ფილიალში გადახდისას, ოპერატორს სთხოვეთ გადახდა განახორციელოს კლირინგ ცენტრის (UCC) გავლით, ანუ ზემოთ აღწერილი ინსტრუქციით.

ყურადღება: სხვაგვარად გადახდილი თანხები დროულად ვერ აისახება სტუდენტის პირად ბარათზე და მოითხოვს დამატებით დროს (3 სამუშაო დღე) დაზუსტებისთვის.

---